



გაერქველეთ

ქალაქი საგარეჯო – 50 წელი

გაზეთი „გაერქვის მხედრის“ დაბადება №6

ქალაქი საგარეჯო

ზღვის დონიდან 750მ;
მთლიანი ფართობი – 993კმ²;
სავარგულების ფართობი – 12703 ჰა;
აქედან:
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – 10548ჰა;
სახნავ-სათესი – 4084ჰა, მრავალწლიანი ნარგავები -1017ჰა;
საძოვარი – 5399ჰა;
ვენახი – 550ჰა;
რქაწითელი – 440 ჰა;
საფერავი – 110ჰა;
სათიბი – 26ჰა;
სატბორე მეურნეობა – 22ჰა;
საკარმიდამო ნაკვეთი – 92ჰა.
მოსახლეობა – 12566 კაცი.
აქედან ქართველია 12210
კომლთა რაოდენობა –4350;
ეროვნება – 10 ეროვნების;
ქუჩა – 62
ყველაზე დიდი ქუჩები:
რუსთაველი – სიგრძე – 2კმ 300მ.
ერეკლე II-ის – 990მ
ჭავჭავაძის – 970მ;
თბილისის – 680მ.
საცხოვრებელი კორპუსი – 46;
საჯარო სკოლა – 4;
სამუსიკო სკოლა – 1
სპორტული დარბაზი – 3
საცურაო აუზი – 1

ჟურნალის გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო
დ. აღმაშენებლის ქ. № 15

ჟურნალი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის
მაცნეში“

დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488

რედაქტორი:
თინათინ ილაური

ჟურნალი აიწყო და
დააკაბადონა
ზურაბ აბულაშვილმა

საქალაქო-საახალწლო!

ორმოცდაათი წელია, ქალაქის „ქუდი“
 გახურავს,
 ნამუსიანად ატარებ, კახურად, მამაპაპურად,
 თუ ვინმემ უწყის, შენც იცი, სოფლის შენებას
 რა უნდა...
 ქართული საქმის კეთებას, მარტო
 ქართული ფხა უნდა.
 თვალ-საგარეჯოვ, ქალაქო, თვალი ხარ
 გარეკახეთის,
 ამ შენს მადლიან მიწაზე
 სისხლი დადინდა რამდენი,
 რამდენჯერ ჩაქრა სიცოცხლე,
 რამდენჯერ ჩაქრა სანთელი,
 სიცოცხლის ძარღვი არ გაწყდა –
 ფერფლიდან ბევრჯერ აღსდექი!
 და კვამლი ისევ ამალდა...
 ხმიანობს სული ქართული.

დედა სამშობლოს ხატება,
 გულში გაქვს ამოწვართული.
 აქ კვლავ ვადიდებთ მაცხოვარს,
 ხატებს ისევ სდის მირონი,
 დარაჯად გადგას ციფ-კოდა,
 თავეწმინდა წმინდა გიორგი.
 მადლს გაფრქვევს დავით გარეჯა და
 ჯვარი წმინდა ნინოსი.
 ნამაშვრალ შუბლ-მკერდს გიგრილებს
 ვერცხლისტალღება იორი,
 გაგთენებია ქალაქო, დღეები სანატრიონი.
 საუკუნეებს მოამტკრევე, დრომ ვერაფერი
 დაგაკლო.
 შენს სადღეგრძელოდ კახურით ჯიხვის
 ყანწები გაგავსოთ,
 მადლა კაშკაშებს შენი მზე, უფრო და
 უფრო ბრწყინდება.
 შენი მომავლის ვარსკვლავი ნურასდროს
 დაიბინდება!
გივი ლაბაბიშვილი



ჩემს ბაჩაჯელს!

ზეობას მოგილოცავთ, ჩირადღნები ანთეთ!
 და მოძმეთა გულებში, კელაპტრებად დაანთეთ!
 ათასწლეულთ მიჯნაზე ბრწყინავს გენი ქართული,
 ვით ცქრიალა სხივებად მზე ლაჟვარდში ჩართული.
 მომავალს მხარს უმშვენებს რაინდული წარსული,
 ელვა შარავანდედად, თავს გვირგვინად დადგმული.
 რაც რომ დროის გრიგალმა განსაცდელად გვაწია,
 თუმც ივერმა ქარტყხილს მედგრად გამოაღწია.
 ნაომარმა, ვაჟკაცურ ნახმლევ-ნაჩეხარებით,
 მუხამ ქარიშხალიდან, ნალეწ-ნამუხარებით.
 ღირსეული მომავლით, სახელოვან შვილებით,
 გულისჯავრად მტრისათვის, ვეფხვად გამოზრდილებით!
 ღვთისმშობელის წილხვედრილს უფალი ჰყავს მფარველად,
 და თვით წმინდა გიორგი, უკვდავების თავდებად!

*ვანისკო ჭავჭავაძე
 ქ. საგარეჯო*



ჩემო სამშობლო!

ციფ-გომბორის მთის ნაჟურით, წმინდა გიორგის მადლით
 ლაშარისჯვარის წყალობით, გარეჯული მინდვრის ხეავით,
 აღზრდილან მამა-პაპანი ქართული იავნანითა,
 ანთებულ გულისძგერით და დედის ხმის სინარნარით.
 მათი გმირული საქმენი გასტეხს ქვასაცა მაგარს:
 მხარგაშლით ხან ხმაღს იქნევდნენ, ხან ვაზს უდგავდნენ ხარღანს.
 შრომის ფერსულში ჩაბმულნი დასვენების ჟამს, მართლაც
 ილხენდნენ მთელი გულით და მღეროდნენ გულდიად, ლაღად.
 ნურც მოკლებოდეს ჩემს გარეჯს წინაპართა გზით მავალს,
 ქართველ ვაჟკაცთა იმედი, მათი მარჯვენის ძალა

*გიორგი მურმანიშვილი,
 საგარეჯოს I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი,
 პენსიონერი, 80 წლის*

დასახლება თვალ-საგარეჯოლან ქალაქ საგარეჯოლო

საგარეჯოს, როგორც დასახლებულ პუნქტს არქეოლოგიური მონაცემებით, სულ მცირე 5000 წლის ისტორია აქვს. იგი უხნესია ისეთ დიდ ქალაქებთან შედარებით, როგორც არის ლონდონი, ვენა, მოსკოვი თუ ვაშინგტონი. მაგრამ საგარეჯომ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მრავალჯერ შეიცვალა სახელი და მრავალჯერ განიცადა აღმავლობისა თუ მიწის პირისაგან ადგილის პერიოდები.

საგარეჯოს, როგორც ხალხმრავალ დასახლებას, მითიური სილამაზისა და უხვი და გემრიელი წყაროების პატრონს ათეული საუკუნეების მანძილზე თვალი ანდა მხმარებით ხარისხში თუალნი ერქვა. შუა საუკუნეების მიღმა ედემადქცეულ ამ ბაღში ერთი თვალი კი არ იყო ბადახშის თვალივით ჩამჯდარი, არამედ უკვე სამი. სამი ხომ საკრალული ციფრი იყო და საგარეჯო სამი თვალისგან შედგებოდა – სულ ზემოთა დასახლებას ზემო თვალი ერქვა, ხეობის გაღმა დასახლებას – გაღმა თვალი, ხოლო ხეობის აღმოსავლეთით არსებულ დასახლებას გამოღმა თვალი ერქვა. ამ უდიდეს დასახლებას აღმოსავლეთიდან გიორგიწმინდა ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთიდან მას ნინოწმინდა მეზობლობდა. საგარეჯოს ჩრდილოეთიდან ოქროს გვირგვინით თავს ცივი-გომბორის ულამაზესი მთები ედგა, ხოლო სამხრეთიდან მის მშენებლებს აგვირგვინებდა უდაბნოს ვრცელი შავი და წაბლამიწის უსაზღვრო მინდვრები.

გარეჯის უდაბნოდან საგარეჯოში მომავალი თვალს შეაფლებს თუ არა საგარეჯოს კონტურებს, მის წინაშე გიგანტური ჯვარი გამოისახება, რომლის ღერძს ხეობის ორივე მხარეს თვითონ თვალ-საგარეჯო წარმოადგენს. ხოლო მის მარჯვენა და მარცხენა ფრთებს – ნინოწმინდა და გიორგიწმინდა.

ეს ვრცელი და ულამაზესი სივრცე მამა ღმერთს ქართველ მეფეთათვის უნუქებია, ხოლო როცა VI საუკუნის I ნახევარში ასურელმა მამამ – დავითმა გარეჯის უდაბნოში დიდი მონასტერი დააფუძნა, თვალი თავისი ახლომდებარე კუთხე კუხეთის სოფლებიანად მეფეებმა ამ მონასტერს შესწირეს.

უდაბნოს მონასტერი ქართველ მეფეთა ხელშეწყობით მალე გარდაიქმნა მთელ საქართველოში უდიდეს სამონასტრო, ფეოდალურ სენიორიად, რომელმაც მოიცვა მთელი გარე კახეთი და არა მარტო გარე კახეთი.

სოფელი თვალი და მისი მეზობელი სოფლები დავით გარეჯის სამონასტრო ფეოდალური სენიორიის (მამული) შექმნისთანავე დავით გარეჯის მონასტრებს გადაეცათ და სოფელ თვალს გიორგიწმინდასთან 'საგარეჯო' მამულად ჯერ თვალ-საგარეჯოდ მოიხსენიებდნენ და ბოლოს 'თვალ' სულაც ჩამოაცილეს და დასახლების სახელწოდებად XVIII საუკუნიდან ხან 'თვალ-საგარეჯოდ', ხანაც პირდაპირ 'საგარეჯოდ' მოიხსენიებდნენ, სადაც განლაგებული იყო დავით გარეჯის მონასტრების მართვის – მოურავის ადმინისტრაცია. საგარეჯო ამავე დროს ქართლ-კახეთის ერთ-ერთი დიდი, სამეფო-სამმართველოს საგარეჯოს ადმინისტრაციული ცენტრი იყო 1811 წლამდე.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ და რუსული სამმართველო-ადმინისტრაციული მმართველობის შემოდების შემდეგ, საგარეჯო და მთლიანად გარე-კახეთი, ჯერ თვალის მახრას, ხოლო შემდეგ 1829 წლიდან 1928 წლამდე საგარეჯო და მთელი გარე-კახეთი თბილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოში შედიოდა.

1928 წელს შეიქმნა გარე კახეთის რაიონი, ცენტრით სოფელი საგარეჯო. 1954 წელს სოფელი საგარეჯო დაბად გადაკეთდა, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით დაბა საგარეჯო რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაიქმნა.

საგარეჯოს ქალაქად გარდაქმნის პირველივე დღეები-

დანვე მაშინდელი საბჭოთა-კომუნისტური ხელისუფლების უდიდესი დახმარებისა და ზრუნვის წყალობით, გრანდიოზული სამუშაოები განხორციელდა ქალაქ საგარეჯოს და საერთოდ გარე-კახეთის კულტურულ-ეკონომიკური აღმშენებლობისათვის.

1962-63 წლებში სწრაფი ტემპით დაიწყო საგარეჯოს განაპირას ორი უდიდესი ობიექტის – ქ. საგარეჯოს ავტოსაბურავების შემკეთებელი ქარხნისა და მთელ საქართველოში გრანდიოზული ქვემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობა. ამ ორ მშენებლობაში მრავალი მილიონი მანეთი და უამრავი სამშენებლო საშუალებები იქნა დაბანდებული. აშენდა ქარხნის კორპუსი, საგარეჯოს რკინიგზის სადგურისა და მინდორ ნასადგომარის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა უამრავი დამხმარე ნაგებობა, მშენებლობებზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა დაბა, საცხოვრებელი სახლები და მშენებლობის ხელშეწყობი ინფრასტრუქტურა, რამაც საგარეჯოს მთლიანად შეუცვალა იერ-სახე – გაფართოვდა და მოასფალტდა ქალაქის ქუჩები, აშენდა საკონსერვო, ღვინის, რძის გადამამუშავებელი, მსუბუქი, ავტოსაბურავების, აგურისა და საშენ-მასალების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (სოფლ-ტექნიკის) სარემონტო ქარხნები და სხვა დამხმარე საწარმოები. სამშენებლო ბუმის ინდუსტრიამ მოიცვა მთელი საგარეჯო და რაიონის სოფლები. საგარეჯოში განლაგდა 4 სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაცია.

პარალელურად დაიწყო კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, საგაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობანი, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გასული საუკუნის 60-70-იანი წლები, როცა უამრავი რამ აშენდა ქალაქ საგარეჯოში და რაიონის სოფლებში, რომ მათი ჩამოთვლაც კი გაგვიძნელებდა. ჩამოთვლით მხოლოდ ზოგიერთებს: ქალაქ საგარეჯოში აშენდა № 2 საშუალო (1962 წელი), №3 საშუალო (1973 წ.), ქალაქის №4 საშუალო (1978 წ.) სკოლების, საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის (1962 წ.) პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო (1980-იანი წლები) და საცხოვრებელი კორპუსები, სპორტული ბაზა, სტადიონი და საჭიდაო დარბაზი (1970-1980წწ), №1 და №3 ბავა-ბაღების მშენებლობა (1962-1973 წწ).

დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა ქალაქისა და სოფლების გაზიფიცირებისათვის. ქალაქის მშენებლად იქცა კულტურის სახლი და სახალხო თეატრის, კინოთეატრის შენობები (1970-80-იანი წლები). საგარეჯოში აშენდა საგაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ქვემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობას, რომელიც ძირითადად 1970-იან წლებში დასრულდა, მისმა მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალურმა არხებმა თავისი სატუმბო სადგურებით მორწყვა ათეულობით ათასი ჰექტარი მიწა. წალკოტად აქცია ქ. საგარეჯოს მინდვრები და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები. მინდვრად ქარსაცავმა ზოლებმა და ბაღ-ვენახებმა იერ-სახე შეუცვალა გარე-კახეთის ლანდშაფტს. მთლიანად შეიცვალა ქ. საგარეჯოსა და მისი სოფლების მოსახლეობის ცხოვრების პირობები. ხალხი პრიმიტიული კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გამოვიდა და ქალაქური ცხოვრებით იწყო ცხოვრება. მთლიანად შეიცვალა მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. კინომ, თეატრმა, რადიომ და ტელევიზიამ მთლიანად შეცვალა მოსახლეობის ცხოვრების წესი. აგრარულ სექტორში მომუშავე გლეხი უკვე გახდა ცივილიზებული, მაღალგანვითარებული მუშა-მწარმოებელი.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ მეთოდებზე

დასახლება თვალ-საგარეჯოდან ქალაქ საგარეჯოში

დასასრული

გადაყვანამ, მტანჯველი ხელით შრომა შეცვალა ინდუსტრიულ-მანქანურმა შრომამ. ადამიანები გამოვიდნენ კარნაკეტილი ცხოვრებიდან და ეზიარნენ სასოფლო-სამეურნეო შრომის მეცნიერულ მეთოდებს.

ქალაქ საგარეჯოს ეკონომიკური აღორძინების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ქალაქის ტერიტორიაზე ისეთი დიდი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსების დაარსებამ, როგორც იყო გარეჯის მეძროხეობის კომპლექსი, მეფრინველეობის ფაბრიკები, მეღორეობის კომპლექსი და სხვა ფაბრიკა-ქარხნები, რომლებმაც მიიზიდა და დაასაქმა ათასობით მუშა-ხელი. ქალაქ საგარეჯოში, და მის მეზობელ სოფლებში მთლიანად აღმოიფხვრა უმუშევრობა. ყველა შრომისუნარიან მოქალაქეს ჰქონდა გარანტირებული სამუშაო და ანაზღაურება, მოისპო სოციალურად დაუცველი ფენა. კანონი მკაცრად იცავდა შრომის უფლებებს. დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა მშრომელი ადამიანების ჯანდაცვის საქმეს. სა-

მედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები უბან-უბან დადიოდნენ და ეწოდნენ მოსახლეობის უფასო დისპანსერიზაციას და არ იყო ოჯახი, რომელიც ექიმის კონტროლის გარეშე დარჩენილიყო. ყველა მოქალაქე გარანტირებული იყო უფასო მეურნალობით. ხელისუფლება და პროფკავშირები ზრუნავდნენ მუშა-მოსამსახურეთა კულტურული მომსახურებისათვის. ყველა ოჯახს ავადღებულებდნენ ოჯახში ჰქონოდა საინფორმაციო საშუალებები, რადიო-ტელევიზორი, გამოწერილი ჰქონოდათ როგორც რაიონული, ისე რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები. ხშირად იმართებოდა მოსახლეობის ზოგადი განვითარების ამღებებისათვის ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორც იყო ლექციების ციკლის მოწოდება, მკითხველთა კონფერენციები, თეატრალურ სპექტაკლებზე მასობრივი დასწრება, ექსკურსიები ქვეყნის ისტორიული ღირსშესანიშნავი, თვალსაჩინო ადგილების დასათვალისწინებლად. ყოველივე ზემოთხაზულიდან ღონისძიებებმა აამაღლა მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობა და ზოგადსაგანმანათლებლო ღონე. ქალაქ საგარეჯოში ჩამოყალ-

იბდა მოსახლეობის საშუალო სოციალური ფენა, ამაღლდა ადამიანთა ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნება და მსოფლშეგნება.

იმ თაობას, ვისაც ახსოვს, რა იყო საგარეჯო 60-70-80-იან წლებში და რა დარჩა დღეს, ძნელია აუხსნა, რა პოლიტიკურმა ძალამ და სისტემამ შეძლო გარეჯის მერძეული პირუტყვის, გიორგიშინდის მეღორეობის კომპლექსების დანგრევამ, რა ძალამ მოსპო და იავარქმნა საგარეჯოს გიგანტი მეფრინველეობის ფაბრიკის, საგარეჯოს მინდრებში იმ ათასობით ჰექტარის ვენახის ამოძირკვა, იმ ქარსაცავების მოსპობა, რომლებიც მითიურ ედემი-ვით ასურათხატებდა ჩვენს მინდვრებს. რა ძალამ მოსპო და იავარქმნა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურების ხელოვნური დაწვიმების აგრეგატების დემონტაჟი და იმ უნიკალური აგრეგატების ჯართად გაყიდვა. ძნელია გაამართლო ის ადამიანები, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ ნგრევა-გაპარტახებაში და ხშირად სწორედ ისინი ამბობენ საქართველოს სადღეგრძელოს მოზრდილი სახმისებით.

ალ. ელერდაშვილი,
ისტორიკოსი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ჟურნალისტი



საგარეჯო 50 წლის წინ

უსტად 50 წლის წინ საგარეჯო ქალაქი გახდა. ბუნებრივია, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი გარეჯელთა ცხოვრებაში, რადგან ქალაქზე ზრუნვა მის კეთილმოწყობაზე დაფინანსება უფრო აქტუალური იყო, ვიდრე დაბის და რაიონული ცენტრის. გარდა ამისა, იყო მთელი რიგი დაპირებანი, რომ აშენდებოდა სამრეწველო ობიექტები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საცხოვრე-

საგარეჯოს ქალაქად გააოხსნაღებიდან 50 წელი გაიდა

ბელი სახლები. მოსახლეობა გარდა სოფლის მეურნეობისა, დასაქმდებოდა სამრეწველო ობიექტებში.

ფაქტიურად, ყველაფერი ეს კეთდებოდა იმის სანაცვლოდ, რომ გაუქმებული იქნა საგარეჯოს ადმინისტრაციული რაიონი. მისი სოფლები გაუნაწილეს გურჯაანისა და გარდაბნის რაიონებს - საგარეჯო აღარ იქნებოდა რაიონული ცენტრი და ის იქნებოდა ქალაქი.

რაიონების გამსხვილება ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა. კომპარტიის მაშინდელი ხელმძღვანელი ნიკიტა ხრუშოვი და პოლიტბიურო ფიქრობდა იმას, რომ როგორმე გადაერჩინათ ქვეყნის ეკონომიკა და თითქოს ოპერატიული მართვისათვის რაიონების გაერთიანება დაიწყეს. ბუნებრივია, ამ ღონისძიებაში ყველაფერი არ იყო გათვლილი. როცა რაიონის ადმინისტრაცია (პარტიული და საბჭოთა ორგანოები) 60 კმ-ს რადიუსში ვერ წარმართავდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სწორ მუშაობას, ამას როგორ მოახერხებდნენ 150 კმ-ის რადიუსში, როცა არც კავშირგაბმულობის დღევანდელი საშუალებები და არც საჭირო ავტოტრანსპორტი არ იყო.

ამ ცვლილებამ, რომელსაც სათანადო პროპაგანდისტული საფუძვლები ჰქონდა, მხოლოდ ცხრა თვე გაძლო. კვლავ დაგვარუნეს საგარეჯოში ის მუშაკები, რომლებიც გურჯაანიდან საგარეჯოს ყოფილ სოფლებს ვემსახურებოდით. ყველაფერი კი ეს მოხდა საგარეჯოსა და მისი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. საგარეჯო კვლავ გახდა რაიონის ცენტრი, ხოლო რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის და რაიკომის მდივნის სახით პატრონი გაუჩნდა იმ დაპირებების შესრულებისათვის ზრუნვას, რაც ქალაქად გარდაქმნის პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ იკისრა. კერძოდ, ყურადღება მიექცა სამრეწველო ობიექტების: საბურთავეის შემკეთებელი და „გაზ-69“ მარკის „კოლხოსნიკების“ ავტომანქანების შემკეთებელი ქარხნების მშენებლობას. 1964 წელს საგარეჯოში შემოყვანილ იქნა ბუნებრივი გაზი. დაიწყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

მაგრამ, როგორი იყო საგარეჯო სანამ იგი ქალაქი გახდებოდა? ეს იყო დაბა თავისი მდიდარი ისტორიითა და

დასასრული მე-6 გვერდზე

საგარეჯოს ძალად გაპოხნილნი 50 წელი გაიდა

დასასრული

ტრადიციებით. იგი იყო სასოფლო-სამეურნეო რაიონის ცენტრი თავისი ადმინისტრაციული და მმართველობითი ორგანოებით.

გარე კახეთის ჰავა, მისი კლიმატური პირობები, ნიადაგი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კახეთის ზოგიერთი რაიონებით, აქაც უხვი მოსავალი მოეყვანათ. მაგრამ, გარე კახელი კაცი ბედს არ უწიოდა—უვლიდა ვაზს, მოჰყავდა მარცვლეული კულტურები, უვლიდა საქონელს. ყოველთვის ჰქონდა პურ-ღვინო სტუმრის დასახვედრად, არც ქვიფს იკლებდნენ და არც ამქვეყნიდან გასულებს მიაგებდნენ ნაკლებ პატივს.

მასხენდება საგარეჯოს ხანში შესულ მამაკაცთა პურმარილები მასხენდელ „რესტორანში“, რომელიც ყოფილი რაიკაქშირის პირველ სართულზე იყო—სარდაფში. ის სარდაფი დღე სინათლეს იყო მოკლებული, მუდმივად შუქი, ან სანთლები ენთო. აქ მოქვიფეს დაკარგული ჰქონდა დროის შეგრძნება—არ იცოდა, დღე იყო, თუ დამადა. მაგრამ, მათ ყოველთვის შერჩენილი ჰქონდათ კაცობის შეგრძნება და იცოდნენ, რომ ამ სარდაფიდან ფეხარეული ვერც ვერ ამოვიდოდა. მათ პურმარილზე მხიარულება სუფევდა, ურთიერთ გაქიფებას, საინტერესო ამბების მოგონება, წადილინება.

მაშინ დღევანდელივით ბევრი გასართობი არ იყო, ამიტომ, როგორც იტყვოდნენ — პურის გატეხა, პურმარილი საუკეთესო ადგილი იყო ურთიერთ-პატივისცემისა და მოლხენისათვის. ბედნიერი იყავი, თუ სუფრაზე დათა ივანელაშვილი და შალიკო მათიაშვილი აღმოჩნდებოდნენ. მათი სიმღერები ხომ სუფრის გვირგვინი იყო. საგარეჯოში ბევრი განთქმული თამადა იყო, ზოგიერთი მათგანის მიერ ნათქვამი სადღეგრძელოები დღესაც სიამოვნებით ისმევა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ საგარეჯოელთა წამოწყება—პენსიონერებმა ელიზბარ ქურდოვანიძის მეთაურობით შექმნეს ჯგუფი, რომლის წევრობა საპატიო მისია იყო. ამ ჯგუფში 15–18 კაცი შედიოდა, დაწესებული ჰქონდათ, 15 დღეში ერთხელ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ოჯახში იკრიფებოდნენ დაქვიფობდნენ, თამადა მასპინძელი უნდა ყოფილიყო. სუფრაზე ისეთი ატმოსფერო სუფევდა, რომ ეს იყო ქართული სუფრის, დროსტარების საუკეთესო გაკვეთილი და ნიმუში.

საგარეჯოელები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საგარეჯოს თეატრის დასის მუშაობას. დასის

მოყვარული მსახიობები, რომელთაც შემდეგ სახალხო თეატრი შექმნეს, დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ საგარეჯოელებში. ისინი დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების მუდმივი მაყურებლები იყვნენ. ოჯახებით დადიოდნენ სპექტაკლებზე და მათი დარბაზში ქვევის წესები დღეს ბევრ თეატრს შემურდებოდა. საგარეჯოელები ოდითგანვე პატივს მიაგებდნენ სპორტის ისეთ სახეობას, როგორცაა ქართული ჭიდაობა. თაობიდან თაობაში გადადიოდა განთქმულ მოჭიდავეთა სახელები. საგარეჯოში „ხატის კაკლებთან“, იქ, სადაც დღეს სტადიონია, ღია ცის ქვეშ იყო საჭიდაო სარბიელი. აქ ბევრ ქართველ მოჭიდავეს უფალავინია: არსენ მეყოიშვილის, მიხაქურხულის, შალვა გზირიშვილის სამშობლოში, ბუნებრივია, ვერვის გააკვირვებდი. მაგრამ, საკვირველი საგარეჯოელი ახალგაზრდების დაინტერესება იყო სპორტის ამ სახეობით. საჭიდაო დარბაზის უქონლობა აფერხებდა ამ დარგის განვითარებას. ამიტომ იყო, რომ 1957 წელს დაიწყო საგარეჯოში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა. ახალგაზრდობა თოხლიაურის რიყის სათავიდან ეზიდებოდა ქვას მშენებლობისათვის. დღევანდელი საჭიდაო დარბაზის ადგილას აშენდა საჭიდაო დარბაზი, რომელსაც მრავალი ფორმა ჰქონდა. დარბაზში ერთი ხალიჩა იყო, ამფითეატრის სტილის ხალიჩის გარშემო არსებული სკამები 500–მდე მაყურებელს იტევდა.

საინტერესო ის იყო, რომ გარეჯელი მაყურებელი კარგად იცნობდა ქართული ჭიდაობის ილეთებს, მის ყველა ნიუანსს. მათ შემდეგ, ასევე, ადვილად აითვისეს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ილეთები. ამ არენაზე ძნელი იყო ჭიდაობა, რადგან შენ გიყურებდა გათვითცნობიერებული მაყურებელი, მით უფრო ძნელი იყო

მსაჯობა, რადგან მაყურებელი ზუსტად აჯამებდა ჩატარებულ ილეთებს. ბუნებრივია, ისინი მსაჯებს ხელს არ უშლიდნენ თავიანთი რეპლიკებით, მაგრამ, თუ საჭირო გახდებოდა და შეიქმნებოდა კონფლიქტური სიტუაცია, რაიმე ობიექტურად არ გადაწყდებოდა, საქმეში ჩაეროდა „მძიმე არტილე-რია“—ასაკიანი მოჭიდავეები და ჭიდაობის ილეთების მცოდნენი მარკოზ ბაბუნიაძე, ამირან არჩუაძე (ფეშხანას ბიჭი) და სხვები. მასსოვს, პრიზებს გადასცემდნენ გამარჯვებულ მოჭიდავეებს. გამოაცხადეს, რომ ჭიდაობაში კარგი ტექნიკისათვის პრიზი მიეკუთვნა გორელ მოჭიდავეს — ბერუაშვილს. დარბაზმა ერთხმად დაიქუხა — ეგ ყველას ჯობდაო. დიახ, თავისი ვაჟკაცური ღვრით, ტექნიკური ჭიდაობით მან გარეჯელთა სიმამათია დაიმსახურა. მერე რა, რომ ის გორელი იყო და არა საგარეჯოელი?! ობიექტურმა მაყურებელმა მას პატივი მიაგო.

საგარეჯო, გორთან, კასპთან, ახმეტასთან ერთად დიდებული ფალავნების სამჭე დლო არის. მარტო ჩვენი ლევან თელიაშვილის ოსტატობის გახსენება რად ღირს?! თაობები უნდა ელოდონ, რომ ლევანის შედეგი გაიმეოროს საგარეჯოელმა ახალგაზრდობამ.

დაბა იყო საგარეჯო, მაგრამ მისი მცხოვრებნი არავის არ ჩამორჩებოდნენ. მათ საკუთარი კურორტიც ჰქონდათ. გასული საუკუნის 50–იან წლებში დაიწყო გზის გაყვანა ცივ — გომბორის მთებში ცივ — კოდისაკენ, რომლის კლიმატი ბავშვებისათვის მეტად სასარგებლოა. ამ პერიოდში საგარეჯოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის გივი ღუჩიძის თაოსნობით კოდაზე აშენდა ბავშვებისათვის დასასვენებელი სახლი. ამ შენობაში გაჰყავდათ საგარეჯოს საბავშვო ბაგა — ბაღის აღსაზრდელები ზაფხულობით. ცივ — კოდაზე ადიოდნენ საგარეჯოელები ოჯახებით ივლის — აგვისტოში.

*ნუშზარ გურჯიძე,
საგარეჯოს კომპარტიის რაიკომის
ყოფილი მეორე მდივანი, ისტორიკოსი,
იურისტი.*



საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა დასასვენებელი სახლი კურორტ კოდაზე

ქალაქი ღვინდელი გაღასახელიდა

მიდინარე წლის დეკემბერში საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების 50 წელი სრულდება. რა სახით მოაღწია ღვინდელობამდე XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ იავარქმნილმა და გავერანებულმა, შემდგომში ქართლ-კახეთის მეფეების ხელშეწყობით დიდი საეკლესიო მოღვაწისა და ხუროთმოძღვრის ონოფრე მაჭუტაძის მცდელობით ხელახლა დასახლებულმა საგარეჯომ, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა მეფის რუსეთისა და ბოლშევიკური რეპრესიების სიმწარე, შევეცდებით შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ უტყუარი ცნობები.

მესამე ათასწლეულის, მეორე ათეულის დასაწყისისათვის საგარეჯო საკმაოდ განვითარებული, მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიული ერთეულია, რომელსაც აღმოსავლეთიდან წმინდა გიორგის სახელობის სოფელი გიორგიწმინდა, – მიდინარე წიფლისხევის კალაპოტიც ესაზღვრება, ხოლო დასავლეთიდან – ასევე ქართველთა დიდი განმანათლებლის წმინდა ნინოს სახელდებული, – ნინოწმინდა, ჩრდილოეთიდან ციფ-გომბორის კალთები და სამხრეთიდან ივრის ვრცელი ზეგანი.

2012 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ქალაქის საგარეჯოების მთლიანი ფართობი 12703 ჰექტარს აღემატება, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს 10548 ჰექტარი უკავია. აქედან, სახნავი ფართობების წილად 4084 ჰექტარია. მრავალწლიანი ნარგავებს – 1017, საძოვრებს – 5399, ვენახებს 550 ჰექტარი უკავიათ. ამ 550 ჰექტარი ზერიდან 440 ჰექტარზე „რქა-წითელი“ გაშენებული, დანარჩენ 110 ჰექტარზე კი „საფრაი“. მთლიანი ტერიტორიიდან საგარეჯოელებს სათიბებისათვის 26 ჰექტარი აქვთ გამოყოფილი, ამაზე ცოტა ნაკლები – 22 ჰექტარი კი თევზის სატბორე მეურნეობებს აქვს დათმობილი.

რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიას – იგი სამოსახლო – საკარმიდამო ნაკვეთებისადაც 92 ჰექტარზე, ანუ 92000 კვადრატულ მეტრზეა განაშენიანებული. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქ 4351 კომლი მოსახლეა აღრიცხული, რომელთა საერთო რაოდენობა 12566 აღწევს. აქედან ქართველია 12210, დანარჩენი კი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, – სომხები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები და ა.შ.

ქალაქში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის, საეპარქო, საგანმანათლებლო თუ სხვა ორგანიზაციის დაწესებულებების სიმრავლის მიუხედავად მოსახლეობის უმრავლესობის საქმიანობის ძირითადი სფერო მაინც სოფლის მეურნეობაა – მისდევენ მევენახეობას, მემინდვრობას, მეცხოველეობას, მეფუტკრეობას, საკვებწარმოებას და სხვა. წლის დასაწყისისათვის მათ მფლობელობაში აღრიცხული იყო 6000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 17 ათასი ცხვარი, 24 ათასი ფრთა ფრინველი, 700 ღორი, 450 ოჯახი ფუტკარი, 90 ცხენი, ჰყავთ სახეივანიც. გასაფხულის დადგომის კვალბაზე, რა თქმა



საბარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

უნდა, მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდება.

რაც შეეხება საშემოდგომო თავთავიანებს – წლევეანდელი მოსავლისათვის აქვთ 700 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი, ქერი 120 ჰექტარზე. გამოიამინდებს თუ არა, დაიწყება საგაზაფხული კულტურების ხვნა-თესვისათვის მზადების კამპანია.

როგორც ცნობილია, საგარეჯო კლიმატურად გვალვიანი, ქარისმიერი ზემოქმედების ზონაა, რასთან საბრძოლველადაც აქაური გლეხკაცობის სამსახურშია მიდინარე იორის, ივრის წყალსაცავის მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური არხები, ქალაქზე ჩამომავალი მიდინარე თვალთხევის, „მახის“ წყლები. რა თქმა უნდა, ეს წყლები სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის გარდა პირუტყვის დასარწყვლებლადაც ვარგისია და გამოიყენება. კახეთის გზატკეცილზე აქაური ფერმერების და არა მარტო მათთვის გასხნილია აგრომომსახურების ცენტრი (უფროსი გ. მინდიაშვილი), სადაც მათ შეუძლიათ შეიძინონ მემცენარეობისთვის საჭირო სასუქები და შხამქიმიკატები.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკას, საგარეჯოელი გლეხკაცობის სამსახურშია 4 თანამედროვე „MF-3095“ და „MF-290“ მარკის ორ-ორი ტრაქტორი, რითაც მათ „მექანიზატორი-2008“-ის ამხანაგობა ემსახურება. ამას გარდა მოსახლეობას კერძო საკუთრებაშიც გააჩნია ამ დანიშნულების ტექნიკა, ისე, რომ მიწის სამუშაოებში მათ ამ მხრივ ხელისშემშლელი პრობლემები არ აქვთ.

2011-2012 წლისათვის საგარეჯოში

1672 სასოფლო ასაკის მოსწავლეა აღრიცხული, რომელთა სწავლა-განათლების საქმეს ოთხი საჯარო და ერთი კერძო სკოლა ემსახურება. ქალაქის ერთ-ერთი პირველი და უძველესი – სასწავლო დაწესებულებაა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლა (დირექტორი დალი ბედოშვილი). აქ ამ სასწავლო წელს 533 მოსწავლეა დარეგისტრირებული, რომელთა სწავლა-აღზრდას 44, აქედან ორი სერტიფიცირებული პედაგოგი ემსახურება. ქვეყნის ხელისუფლებისა და შესაბამისი სამინისტროს ძალისხმევით ამ სკოლის მოსწავლეებს ყველა შესაბამისი პირობა აქვთ შექმნილი თანამედროვე განათლების მისაღებად.

ამავე პერიოდისათვის საგარეჯოს ნ. ჭანტურიას სახელობის მეორე საჯარო სკოლაში (დირექტორი მანანა ცუცქერიძე) ირიცხება 360 მოსწავლე. მათ განათლებას აქ 35, აქედან 5 სერტიფიცირებული პედაგოგი უძღვება. მათ შორის სერტიფიცირებული გახლავთ სკოლის დირექტორიც. სხვათა შორის, ეს სკოლა ბოლო წლებში რაიონის საგანმანათლებლო სივრცეში ლიდერობს მედალოსან სკოლადამთავრებულთა გამოშვებაში. წინა სასწავლო წელს აქ შეიდი მედალოსანი მოსწავლე ჰყავდათ, აქედან 3 ოქროს და 4 ვერცხლის, ამაზე მეტი, – 14 მედალოსანი კი წინა სასწავლო წლისათვის. წელს კი აქ 18 განმოსაზრებული მოსწავლედან 4 მედალოსნობის კანდიდატი ჰყავთ.

ამ სკოლებთან შედარებით მცირე კონტიგენტია საგარეჯოს III საჯარო სკოლა (დირექტორი ლელა

გაბრძელება გე-8-9 გვერდებზე

ქალაქი ღვინაძე გადასახელება

ბაბრქელები

ფანოზიშვილი), სადაც მიმდინარე სასწავლო წლისათვის 165 მოსწავლეს ითვლიან. აქ მათი განათლებისათვის 27, აქედან 4 სერტიფიცირებული პედაგოგი იღწვის.

არა მარტო საგარეჯოში, არამედ ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეშიც ცნობილია ქალაქის მეოთხე საჯარო სკოლის (დირექტორი ნელი ბალახაშვილი) სახელი. აქ არა მარტო საგარეჯოელი მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება სწავლა-განათლების საფუძვლებს, არამედ ტარდება რაიონული თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის საგანმანათლებლო ღონისძიებები. 2011-2012 წლისათვის ამ სკოლის კედლებში 539 საგარეჯოელ მოსწავლეს ითვლიან, რომელთა სწავლა-აღზრდის სამსახურშია 53 პედაგოგი, აქედან შვიდი სერტიფიცირებული, მათგან ერთი საუკეთესო მასწავლებლის სერტიფიკატის მფლობელი მასწავლებელი. რა თქმა უნდა, ქალაქის ყველა დასახელებული სკოლა აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სპორტული დანიშნულების დარბაზებითა და მოედნებით, კომპიუტერული, ვიდეო-და აუდიო მომსახურებითა და ინტერნეტით.

ამას გარდა, საგარეჯოელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის სამსახურშია „თამარ გარეჯელის“ სახელობის კერძო საერო სკოლა (დირექტორი თამარ საგინაშვილი), სადაც 45 მოსწავლეს ოცამდე პედაგოგი ემსახურება. აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, ამ სასწავლო წლისათვის შს

„ილია“ – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების X-XI-XII კლასებში (დირექტორი იოსებ მატიაშვილი) ირიცხება 40 მოსწავლე, სოლო პროფესიულ სპეციალობებზე 30 მსმენელი. ქალაქში ასევე მოქმედებს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის საგარეჯოს სასწავლო ცენტრი (დირექტორი დარეჯან გილაშვილი), სადაც პროფესიულ განათლებას 45, ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის საფუძვლებს კი 30 მოსწავლე ეუფლება. ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ქალაქის (და არა მარტო მათი) მოსწავლეთა სწავლა-განათლების ღონის ამძღვლებსა და სხვადასხვა პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საქმეში საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს (დირექტორი თამარ ჯაბადარი) რომლის მუშაობაც არაერთხელ აღნიშნულა რაიონული თუ ქვეყნის მასშტაბით.

სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისა და შესაბამისი გარემოს სიმცირე-უქონლობას არც ჩვენი საგარეჯოელი სკოლამდელი ასაკის პატარები „უჩივიან“. მათი სწავლა-აღზრდის სამსახურშია ხუთი ამ ტიპის სასწავლო დაწესებულება, სამი საბავშვო და ორიც ბაგა-ბაღი. აქედან საგარეჯოს პირველ საბავშვო ბაღში (დირექტორი თამარ ლაფერიშვილი) წელს 160 სხვადასხვა ასაკის ბავშვს ითვლიან, საგარეჯოს მეორე საბავშვო ბაღში (დირექტორი ლილი ლოლაძე) – 20, საგარეჯოს №3 საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი ნანა სულიკაშვილი) – 35, საგარეჯოს №1 ბაგა-ბაღში (დირექტორი ნანა კუჭუაშვილი) – 35, საგარე-

ჯოს №3ბაგა-ბაღში (დირექტორი მზია ბეიციშვილი) – 140 აღსაზრდელს. ანუ ამ სასწავლო-წლისათვის ქალაქის ამ დაწესებულებებში 390 პატარა ეზიარება თანამედროვე სწავლა-განათლების საფუძვლებს.

ვინაიდან საგარეჯო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციონაც ასრულებს, ქალაქში თავმოყრილია ამ და სხვა დანიშნულების სამსახურები და უწყებები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ადმინისტრაცია, ქალაქის მერია, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სამსახურები, სასამართლო, პოლიცია; სანოტარო კანტორა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების სააგენტო.

ქალაქში გახსნილია ხუთი საბანკო დაწესებულების – „ლიბერთი ბანკის“, „ბანკი კრედოს“, „საქართველოს ბანკის“, „ბანკი კონსტანტას“ და „ფინკა ბანკის“ ადგილობრივი ფილიალები, ქალაქში უამრავია და მოქმედებს სხვადასხვა სახის გადამამუშავებელი საამქროები, ავტოპროფილაქტიკები, სავაჭრო, კვებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულებების ობიექტები, ცხოველთა ორი სასაკლაო, რომელთა საერთო რიცხოვნობა 350-ს აჭარბებს. ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულია „სოკარისა“ და სხვა ფირმების ექვსი ავტო და გაზგასამართი სადგური. მოქმედებს სამი პირველადი ღვინის ქარხანა, რკინიგზის სადგური.

ამ ბოლო ხანებში ბევრი ახალი ობიექტი ჩადგა ქალაქის მოსახლეობის კულტურული დასვენება-გართობის სამსახურში. გაიხსნა სამი ახალი სკვერი, მათ შორის ერთი ახალგაზრდული სკვერი (ერეკლე მეორის ქუჩაზე შადრევნით). ქალაქის და მთელი მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრია საგარეჯოს კულტურის სახლი (მენეჯერი თინათინ მეზვინიშვილი). არაერთი კულტურულ-გასართობი პროგრამა და ღონისძიება განუხორციელებია და ახლაც ახორციელებს ა.ი.პ. საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება (დირექტორი ბესო ღვინაშვილი).

ქალაქის მოსახლეობის წიგნიერების ამძღვების სამსახურშია საგარეჯოს ცენტრალური (მენეჯერი ლია გოდერძიშვილი) და საბავშვო (მენეჯერი ვერიკო კერატიშვილი) ბიბლიოთეკები. საქვეყნოდაა აღიარებული საგარეჯოს სახალხო თეატრისა და თოჯინების თეატრის (დირექტორი მარინა შოთაშვილი) მუშაობა. გახსნილია ქართული ხალხური და სხვა ცეკვების შემსწავლელი სტუდიები და ჯგუფები.

შესანიშნავი პირობები აქვთ ქალაქის სპორტსმენებს წვრთნებისა და მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად. აქ მათ სამსახურშია ორი სპორტული სკოლა. საგარეჯოს №69 კომპლექსური სკოლა (დირექტორი თემურ კურდღელაშვილი) სადაც გახსნილია ძიუდოს, თავისუფალი, საშბოს, ქართული ჭიდაობის, ჭადრაკისა და მძლეოსნობის ჯგუფები, საგარეჯოს №105 აიპ



დასასრული

ქალაქი დღევანდელი გადასახელებიდან

სასპორტო სკოლის (დირ. ს. მარხვაშვილი) დახურული და ღია აუზი კი საგარეჯოელ პატარებს ცურვის თანამედროვე მეთოდების დაუფლების საშუალებებს უქმნიან. საგარეჯოელი მოჭიდავეების სამსახურშია თანამედროვე ღონეზე აღჭურვილი არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის ძიუდოს დარბაზი ორი ტატი-მით, საკუთრების დაცვის პოლიციისა და 69-ე სპორტსკოლის დარბაზები; სპორტკლუბ „გარეჯის“ სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელებს ემსახურებათ ქალაქის სტადიონი და 105-ე სასპორტო სკოლასთან არსებული ხელოვნურსა-ფარიანი მინი-სტადიონი.

ადამიანის ცხოვრება, მით უმეტეს თანამედროვე ეტაპზე, ყოველად წარმოუდგენელია მუსიკის, მუსიკალური განათლების გარეშე. ამ საქმეს აგერ უკვე რამდენი ხანია დაუცხრომლად ემსახურება საგარეჯოს განახლებული სამუსიკო სკოლა (მენეჯერი: ღია ბურჯანაძე), რომლის პედაგოგ-მასწავლებელთა რუდუნებით მრავალი შემოქმედი თაობა დაფრთიანებულია და ახლაც ფრთიანდება.

ღვთის წყალობითა და შეწევნით საგარეჯოელები არც საკულტო დანიშნულების ობიექტების სიმცირეს განიცდიან. მის ტერიტორიაზე გაბნეული პეტრე-პავლეს, დოდოს, წმინდა გიორგის, ღვთისმშობლისა და სხვა წმინდანების სახელზე აგებული უძველესი და ახალი ეკლესიები, საიდანაც სადღეისოდ ორი – ღვთისმშობლისა და დოდოს ეკლესიებია მოქმედი და უფლის სახელზე ყოველ კვირას აღევლინება წირვა-ლოცვა. სულ ახლახანს კი ქველმოქმედი საგარეჯოელების მცდელობითა და საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით კიდევ ერთი წმინდანის – პანტელეიმონ მკურნალის სახელზე „კოდაზე“ საფუძველი ჩაეყარა ახალი ეკლესიის მშენებლობას, რომელიც იმედია მალე დამთავრდება.

ამრიგად, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სპორტული, სამედიცინო, სამართალდამცავი, საბანკო, სავაჭრო, საწარმოო, კულტურულ-გასართობი, ქრისტიანული საკულტო დანიშნულების ობიექტების სიმრავლე საგარეჯოს თანდათან სძენს თანამედროვე ქალაქის დამახასიათებელ იერ-სახეს. ამ კუთხით საქართველოს მთავრობისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ამ უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე. იმისათვის, რომ საგარეჯოელებმა თავი კომფორტულად და ეპოქის შვილებად იგრძინონ, საგარეჯოელებმა უკვე კარგა ხანია დაიბიწვეს, თუ რა არის უშუქობა, უწყობა, რითაც მათ ბუნებრივ აირთან ერთად 24 საათიანი მომარაგება აქვთ. ყველა, ვისაც კი ამ ბოლო ხანებში საგარე-



საბარეჯოს ჯალაქის სახლი

ჯოში გაუვლია, თვითმხილველია იმ სასიკეთო გარდაქმნებისა, რაც ქალაქის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ხორციელდება. დასასვენებელი სკვერები და მოედნები, მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესება, გზებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების კეთილმოწყობა, სოციალურად დაუცველი და ხანდაზმული ადამიანების კერების დაარსება, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების გაღამაზება-გამშენიერება – აი, იმ პრიორიტეტების მოკლე ჩამონათვალი, რაც ხალხმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დასახეს ნახევარსაუკუნოვანი ქალაქის განვითარების კუთხით.

გასულ წელთან შედარებით, მეტის გაკეთებაა დაგეგმილი საგარეჯოს გამშენიერება-გაღამაზებისათვის მიმდინარე წელს. ქალაქში გაგრძელდება გასულ წელს დაწყებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებელი სამშენებლო სამუშაოები. უკვე მუშავდება ღონისძიებები მისი ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციის დასაწყებად, სადაც აიღებენ რამდენიმე მოძველებულ შენობას. გამოთავისუფლებული ფართის ხარჯზე კი მოხდება მოედნის გაფართოება და განაშენიანება. ძველი ბაზრის ადგილზე იქვე აშენდება ახალი თანამედროვე ბაზარი. მიმდინარე წელსვე იგეგმება ყოფილი ბავშვთა საავადმყოფოს ბაზარზე თანამედროვე სტანდარტების ღონეზე აღჭურვილი სამკურნალო დაწესებულების ამოქმედება. დიდ პერსპექტივებს შლის ქალაქის მცხოვრებთა შორის ტურიზმის შემდგომი განვითარება „კურორტ „კოდის“ კეთილმოწყობა და ამოქმედება.

მთავარი სიმდიდრე და სიღამაზე ქალაქისათვის მაინც აქაური გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხია. ჩვენმა ქალაქმა არა ერთი ღირსეული მოქალაქე – მამულიშვილი აღუზარდა და უზრდის დედასამშობლოს. აქაური მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერები, სხვადასხვა დარგის მუშაკები აქტიურად არიან ჩართული ქვეყნის სასიცოცხლო მაჯისცემაში და თავიანთ სიტყვას ამბობენ მისი დაწინაურება-წინსვლის საქმეში.

ქართული სპორტის აღმავლობისა და განვითარების საქმეში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვეთ საგარეჯოელ სპორტსმენებს, ჩვენს სხვადასხვა სტილის მოჭიდავეებს. დიდი არსენ მეკოკიშვილის, ლევან თედიაშვილისა და სხვა გარეჯელ ფალავანთა ლეგენდარულ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ დავით ხუციშვილი, უშანგი კუხანაშვილი, ბექა პეტრიაშვილი, ზურა ერბოწონაშვილი, ვანო მაისიაშვილი და სხვა მრავალნი.

დიდ წარმატებებს აღწევენ სწავლა-განათლების „ფრონტზე“ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდები, სტუდენტები. ახლა საგარეჯოში ბევრი გვეყავს ქვეყნის პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების გრანტოსანი სტუდენტები, რომლებიც ასპროცენტიანი დაფინანსების მფლობელები არიან.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღებული აღმშენებლობის კურსი, მათ მიერ ჩვენი ქალაქის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობა, მათი ხშირი სტუმრობა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევა, იმის საწინდარია, რომ საგარეჯო მალე გადაიქცევა თანამედროვე ევროპული ღონის ქალაქად.

ეს წლები გარეჯული სპორტის წინსვლის წლებიც იყო



ჩვენი თანამემამულისა და თანამოქალაქის, ქართული ჭიდაობისა და სამბოს თვალსაჩინო ფალანგის – **მურთაზ ელერაშვილი** სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოს თითქმის ყველა თაობის წარმომადგენლებისათვის. ჭიდაობაში მოპოვებული წარმატებების გარდა, იგი გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან, ვიდრე მეოცე საუკუნის ბოლო ხანებამდე სათავეში ედგა რაიონის სპორტულ ცხოვრებას, იყო რაიონის სპორტკომიტეტისა და ნსს „კოლმეურნეს“ თავმჯდომარე, მუშაობდა მწვრთნელ მასწავლებლად. მის სახელთანაა დაკავშირებული საგარეჯოში ჭიდაობა „სამბოს“ შემოტანა. რაიონის სპორტულ წრეებში მოტრიალესა და ლაღი იუმორით დაჯილდოვებულს, თითქმის ზეპირად ახსოვს აქაური თუ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ცნობილი ფალანგის წარმატებები და კურსოზები. ერთი სიტყვით საუკეთესოდ მოეხსენება ჩვენი სპორტის „ავან-ჩაგანი“ და რა თქმა უნდა საგარეჯოს ქალაქად გამოცხადებაც ახსოვს.


– საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების დროს, ანუ 1962 წლის დეკემბრისათვის, მე საგარეჯოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ ვმუშაობდი. მაშინ ყველა, დიდი თუ პატარა სიხარულით შეეგება ამ მართლაცდა სასიხარულო მოვლენას, რადგან ეს უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნიდა როგორც ქალაქის, ისე მთლიანად რაიონის განვითარებისათვის. ეს წელი გარეჯული სპორტისა და პირადად ჩემთვისაც სასიხარულო და დასამახსოვრებელი იყო იმიტაც, რომ ჩვენი ახალგაზრდა საგარეჯოელი სამბისტი რიონ ყორღანაშვილი გახდა ჭაბუკებში სსრკ ჩემპიონი. ახლა კი ამ სახეობაში გვყავს არა მარტო ამ ტიტულის მფლობელი ფალანგები, მათ შორის კაკაბეთელი უშანგი კუზანაშვილი – ევროპის მრავალჯგზის და მსოფლიოს ორჯგზის ჩემპიონი. ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ერთხელ მოიპოვა ლევან თედიაშვილიძე. საერთოდ უნდა

აღინიშნოს, რომ ამ წლებიდან იწყება საგარეჯოში სპორტული ცხოვრების აღმასვლა და გააქტიურება.

სამბო საგარეჯოში 1960 წელს შემოვიტანეთ. მანამდე ძირითადად განვითარებული იყო მძლეოსნობა, ფეხბურთი, ქართული და თავისუფალი ჭიდაობა. მძლეოსნობაში საგარეჯოელი სპორტსმენების პირველი დამკვალიანებელი იყო ვალერიან ოდიკაძე, თავისუფალ ჭიდაობაში – ვალერიან მეკოკიშვილი, სამბოში – თქვენი მონა-მორჩილი. შემდეგ წამოვიდა მწვრთნელთა მთელი პლეადა. რაც შეეხება ჭიდაობა ძიუდოს, იგი ცოტა მოგვიანებით, ბიჭიკო მარიდაშვილის მიერაა შემოტანილი.

იმ დროისათვის საგარეჯოში დიდი ყურადღება ეთმობოდა ფეხბურთის განვითარებასაც. 1964 წელს გაკეთდა დღევანდელი საგარეჯოს სტადიონიც. აქ გამოყენებული იყო იგრის სარწყავ სისტემაზე მომუშავე „სკრეპერები“, რომლითაც სტადიონის ადგილზე აიჭრა მიწა, მოსწორდა და დაიგო ბალახის საფარი. ბალახისათვის ბელტი ხაშმის ბოლოზე იჭრებოდა და საგარეჯოში გადმოგვექონდა. ამ საქმეს მაშინ დიდ ყურადღებას აქცევდა მაშინდელი პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანი ოთარ საბაშვილი. ამასთან ერთად იგი „გარეჯის“ დიდი გულშემბატოვარი იყო და ხშირად ესწრებოდა საგარეჯოში გამართულ მატჩებს.

დღევანდელი ძიუდოს დარბაზი 1982 წელს შევიდა ექსპლატაციაში, რომლის მშენებლობა-დაპროექტების საქმეში გარკვეული წვლილი მაქვს შეტანილი. მანამდე ამ ადგილას იყო კონუსური ფორმის პატარა საჭიდაო დარბაზი, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებდა



გაზრდილ მოთხოვნებს, რადგან დაიწყო სპორტის ახალი სახეობების შემოტანა და დანერგვა.

საგარეჯოს სპორტსკოლა 1964 წელს დაარსდა. იგი მთელი წლების მანძილზე ექვემდებარებოდა განათლების განყოფილებას და მისი I დირექტორი იყო ვალერიან ოდიკაძე.

მას შემდეგ, ამ 50 წლის განმავლობაში ბევრი ძირეული ცვლილება მოხდა ქალაქის ცხოვრებასა და გარეჯული სპორტის ისტორიაში. ჩვენი ახალგაზრდობისა და სპორტსმენების სამსახურში არსენ მეკოკიშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზის გარდა ჩადგა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მოწყობილი სპორტსკოლისა და საკუთრების დაცვის პოლიციის საჭიდაო დარბაზები, საგარეჯოს №105 სპორტსკოლის საცურაო დარბაზი, ხელოვნურსაფარიანი მინი-სტადიონი, ქალაქის სკოლებში მოწყობილია სპორტული დარბაზები და მოედნები. სწორედ ამის გამო იმატა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სარბიელზე საგარეჯოელი სპორტსმენების მიღწევებმაც. და მიუხედავად ამისა, ჩემთვის ყველაზე მეტად სასიამოვნო და დასამახსოვრებელი 1972 წელი გახდა, როცა ჩვენი თანამემამულე ლევან თედიაშვილი საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

სპორტული დარბაზი



მობრძეობა საგარეჯოში ჩემი ბავშვობის ქალაქი



6 ელ-ნელა ახლოვდება საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების 50 წლისთავი. ამ 50 წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა და შეიცვალა ჩვენი ქალაქის კეთილდღეობისათვის, რისი მომსწრე და თვითმხილველი ბევრი საგარეჯოელია.

ბატონი ომარ კავთუაშვილი ის პიროვნებაა, ვინც თავისი სიცოცხლის 71 წლიდან უმეტესი ნაწილი აქ საგარეჯოში გაატარა. 1941 წლის 31 მაისს დაბადებულმა საგარეჯოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1967 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა – ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. სამი წელი იმუშავა დნეპროძერჟინსკსა და კაღინინში ინჟინერ-კონსტრუქტორად. 1970 წლიდან კი ისევ საგარეჯოს დაუბრუნდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტრესტ „წყალმშენის“ სამმართველოს ბაღიაურისა და საგარეჯოს უბნებზე მთავარ მექანიკოსად, საგარეჯოს სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინერად, საგარეჯოს ავტოშემკეთებელი ქარხნის დირექტორად, „საქსოფლტექნიკური ინჟინერების“ უფროსად, საგარეჯოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის დირექტორად და ყველგან, რომელ უბან-

ზეც და თანამდებობაზეც კი იმუშავა, ყველგან კეთილსინდისიერი და პატიოსანი კაცის სახელი დატოვა. ყველა ეს თვისებები მისი თანდაყოლილი ნიჭია, რომელიც ესმარება იყოს ყოველი ადამიანისადმი გულისხმიერი, თავისი ქალაქისა და ყოველივე იმის გულშემატყობარი, რაც საგარეჯოსთანაა დაკავშირებული. თავისი ამ პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ჩვენი გაზთვის ერთგულ მეითხველსა და ქობაგს პირად საუბრებში, თუ ოფიციალურად, ბევრჯერ გამოუთქვამს თავისი მოსაზრებები ქალაქთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

სხვანაირად მოქცევა ალბათ არც შეუძლია, იგი ხომ ძირძველი საგარეჯოელია, ქალაქის „გულში“ ცენტრში დაბადებული და გაზრდილი. აქ მის თვალწინ გაიზარდა და დამშვენდა საგარეჯო, მომსწრეა ყველა იმ სიკეთისა, რასაც ძველი, ჩამორჩენილი სოფლიდან მიაღწია დღევანდელმა ქალაქმა, ამიტომაც არის, რომ ასე ეახლოვება, ესათუება და ეფერება ყველას და ყველაფერს, რასაც საგარეჯო და საგარეჯოელები ჰქვია. ერთი სიტყვით, თუ ვინმეს ეთქმის ამ ქვეყნად, საგარეჯოელი ვარო – ერთ-ერთი მათგანი ბატონი ომარიცაა. საგარეჯოს 71 წლის ცოცხალ „მატიანეს“ ბევრი რამ ახსოვს თავისი ბავშვობისდროინდელი ქალაქის ისტორიიდან, აქ გატარებული სიყრმის წლები. თუ როგორი იყო ამ 60-70 წლის წინანდელი საგარეჯო, ამას მასთან შემდგარი ქვემოთმოყვანილი დიალოგიდან შეიტყობთ.

– ჩემი წინაპრები საგარეჯოში XVII საუკუნის ბოლოს, ქართლიდან გადმოსახლებულან. მათი თავდაპირველი გვარი ინაშვილი ყოფილა, მა-

გრამ, რადგან სოფელ კავთისხევიდან ყოფილან, ადგილის დედის სახელი რომ არ დაეკარგათ, კავთუაშვილებად დაწერილან, – გვიყვება ბ-ნი ომარი. პაპანქმის მამა – ესტატე და მისი თანამოგვარეები საგარეჯოს სათავის სიახლოვეს, თვალთხევის სანაპიროზე დასახლებულან. ესტატეს ორი შვილი – შაქრო და სონა შესძენია, სონა უფროსი ყოფილა და ინაშვილად დაუწერიათ, პაპანქმი კი კავთუაშვილად. ეტყობა გვარის გადარქმევა სონის დაბადების შემდეგ უნდა მომხდარიყო.

პაპანქმს ხუთი შვილი ჰყავდა. მამაჩემი – დათიკო უფროსი ყოფილა. დღევანდელ ცენტრთან სიახლოვეს, ყოფილი სტალინის ქუჩაზე „ლილეს“ შენობის ადგილზე ვინმე ყანდარელისგან შეუსყიდია პატარა ხის სახლი, სადაც მალე გადმოსახლებულა კიდევ ცოლთან და პატარა შვილთან ერთად. მაგრამ რადგან აქ ადგილს, როგორც ძველები იტყობენ, „დაუცლია“ და პატარა ვაჟიშვილი გარდაცვლია, გადაუწყვეტია, სხვა ადგილზე გადასულიყო. მას დღევანდელი აფთიაქის (ავერსი) ადგილზე ქვა-ლორდისაგან გაუწმენდია გორაკის ძირი, მოუსწორებია და გზის პირას ახალი ქვითკირის სახლის შენება დაუწვია, ძველისთვის კი ცეცხლი წაუკიდებია და დაუწვია. ამ ახალ სახლში მოვეყვინე ამ ქვეყანას. სულ მალე კი დიდი სამამულო ომი დაიწყო და მამაჩემი ომის დამთავრებამდე არ გამიცნია. ასე გაგზარდა დედამ ტანჯვა-წვალებით ორი პატარა შვილი. ჩვენ ტყიდან შეშა-ფინხი მოგვკონდა, დედა პურს აცხობდა და მუზოგელ ქალს ბაზარში აყიდვინებდა. ეს ბაზარი ტერიტორიულად ყოფილი რესტორან „გარეჯისა“ და დღევანდელი სამუსიკო სკოლის ტერიტორიის ნაწილზე იყო განთავსებული. მახსოვს, რომ ამ ბაზარში ხორცი მხოლოდ კვირა დღისით იყიდებოდა ხოლმე. გვერდით იმართებოდა ე.წ. „იარაშკაპი“, სადაც იყიდებოდა ნახშირი ტანსაცმელი და ნივთები. მის სიახლოვეს იყო „დაბახანა“ და საქონლის სასაკლაო. დაბახანაში ახალი ტყავის სანაცვლოდ გვაძლევდნენ გამოყვანილ ტყავს, რომლისგანაც მოსახლეობა ქალამნებს „ამოისხამდა“ ხოლმე.

ომის დამთავრების შემდეგ საგარეჯოში დაბრუნებული მამაჩემი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ მალე დედაჩემი გარდაიცვალა და დავობდით. ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ ორგულმა ადამიანმა ისარგებლა მამაჩემის სა-



ბაბრქელება

მობრუნებული საბარჯელო

ჩემი ბავშვობის ქალაქი

მუშაობე არყოფნით და საგარეჯოს „ხაგოხერნოს“ საწყობიდან უჩუმრად ხორბალი გაიტანა და სულ უდანაშაულო მამანეში ციხეში მოჰყვა, საიდანაც ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს.

– თქვენს სახლოვეს კიდევ ვინ სახლობდა საგარეჯოს ცენტრში, თუ გახსოვთ თქვენი მაშინდელი სამეზობლო?

– როგორ არა. კავთუაშვილების გარდა, აქ სახლობდნენ მარიამ, ტარიელ და თეზიკო მეიფარიანების მამა-პაპა, დღევანდელი რაიკავშირის შენობის უკან გიორგი ქვლივიძე, აღმოსავლეთის მხრიდან გზის გადასწვრივ მთვარაძეები, ყანდარელები, უფრო მოშორებით მეზურნიშვილები, მჭედლიშვილები, ლაფანიშვილები, ბეღიაშვილები, დღევანდელი კულტურის სახლის ტერიტორიაზე სახლობდნენ ტეტიაშვილები, ძაბილაშვილები, ფირყულაშვილები, რესტორან „გარეჯის“ ადგილზე ლაზაშვილები, ჯავახიშვილები – „ცალთვალა მიხო“ და ბიძინა. განსაკუთრებით ჩამრჩა მესხიერებაში „ცალთვალა მიხო“ – შესანიშნავი და ვირტუოზი მუსიკოსი, რომელიც არაჩვეულებრივად უკრავდა პიანინოს. ქალაქის განაშენიანების შემდეგ ეს გვარები სხვა ადგილებზე გადასახლდნენ. კარგად მახსოვს, როგორ გადაწყვიტეს კომუნისტებმა ჩვენს სამოსახლო ტერიტორიაზე დღევანდელი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. მათ ჩვენი სახლისა და ადგილის სანაცვლოდ მამაჩემს შესთავაზეს სხვა ადგილი და სახლი, მაგრამ მან ადგილზე დარჩენა ისურვა და ამ ახალ „აფთიაქის“ კორპუსში გამოგვიყვანეს ორი ბინა, სადაც დღესაც ვცხოვრობთ. სხვათა შორის, ჩემი ხელით დარგულია ის კაკლის ხე, რომელიც ახლაც დგას აფთიაქისა და ყოფილი ბანკის შენობის წინ.

– თქვენი ბავშვობისდროინდელი ქალაქის შესახებ რა შემორჩა თქვენს მესხიერებას?

– მაშინ საგარეჯო უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. პატარა „ბელეტაჟზე“ წამოსკუპებული კრამიტისსახურავიანი ფიცრული და ქვიტირის სახლებით, შემოუღობავი ეზოებითა და ნაკვეთებით. ზაფხულობით ქალაქის ცენტრზე, დღევანდელი ერეკლე II-ის ქუჩაზე ქვით მოპირკეთებულ სანიაღვრე არხებში მორაკრაკებდა ცივი წყლები, რომელსაც თან უამრავი სიბღენძის ხურდა ფული ჩამოჰქონდა. ეს წყლები საგარეჯოს სათავიდან გამოედინებოდა და ეტყობა იქ საქეფოდ და გასართობად მისული სტუმრები ყრიდნენ წყალში ამ ფულს, რადგან მიაჩნდათ, რომ ამით ისევ შეძლებდნენ საგარეჯოში დაბრუნებას. ჩვენ, ფეხშიშველა პატარა ბიჭები შეუწყებოდით ხოლმე ამ არხებს



ზევით და ხურდა ფულით ვიცვებდით „მაიკის“ უბეებს, რითაც მერე კანფეტებს ვყიდულობდით.

თვითონ საგარეჯოს სათავე იმ დროს გართობისა და დასვენების უმთავრესი კერა იყო, სადაც უქმე და დასვენების დღეებში იმართებოდა კარნავალები, რაც ქვიფთა და პურმარილით მთავრდებოდა. თავისი ყინულივით ცივი წყლებითა და ბუნებით სათავე მუდამ უხვად იზიდავდა ადგილობრივ თუ სტუმრად ჩამოსულ დროსტარების მოყვარულ ადამიანებს. აქვე იყო წყლის ღრმა აუზი, რომელიც ცივი წყლით ივსებოდა და პატარა ბიჭები სანაძღოზე თავით ვხტებოდით შიგ, თუ ვინ უფრო მეტ ხანს გაძლებდა მასში.

მაშინდელი საგარეჯოელი პატარების საყვარელი გასართობი ადგილი იყო დღევანდელი კულტურის სახლისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიაზე არსებული დასასვენებელი ბაღი, თავისი ეგზოტიკური მცენარეულობითა და მოქანავე საგარძღებიანი „კარუსელით“, წყლის აუზით, სადაც ბავშვები ზაფხულობით ვბანაობდით.

კარგად ჩამრჩა მესხიერებაში დღევანდელი პირველი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული დასასვენებელი ბაღი და წყლის საბანაო აუზი. მის ცენტრში კომუნისტებს აღმართული ჰქონდათ პროლეტარიატის ბელადის ძეგლი, რომლის გარშემო მაშინდელი კომკავშირელები და წითელყელსახვევიანი პიონერები აწყობდნენ სხვადასხვა კომუნისტური დღესასწაულების აღმნიშვნელ საზეიმო ღონისძიებებს. მათი მუშაობის ძირითადი ცენტრი კი რესტორნის ადგილზე აშენებული პიონერთა სასახლე იყო. ბაღის გადასწვრივ, მოპირდაპირე მხარეს გახსნილი იყო დაწყებითი, ოთხკლასიანი სკოლა, სადაც ორი მასწავლებელი ტასო ტა-

ბატაძე (მოჭიდავე გივი ტაბატაძის მამიდა) და ბაბაკიშვილი მუშაობდნენ.

– თქვენც ამ სკოლის აღსაზრდელი ხართ, ასე კარგად რომ გახსოვთ იმდროინდელი ამბავი?

– არა, მე ამ სკოლის მოსწავლე არ ვყოფილვარ. მე ვსწავლობდი საგარეჯოს რვაწლიან სკოლაში, რომელიც დღევანდელი მეორე საჯარო სკოლის ადგილას იდგა. აქ ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო არჩილ ქვლივიძე. ეს სკოლა ბელეტაჟზე – ერთსართულიანი იყო, უკანა მხარეს დატანებული ფანჯრებით, საიდანაც გაკვეთილების გასაცდენად ბიჭები პირდაპირ ქუჩაში ვხტებოდით ხოლმე და იმ დროს შემოსული კინოფილმ „ტარზანის“ გავლენით, ყველა „არჩილას ტარზანებს“ გვეძახდა.

სკოლას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა დღესაც არსებული ორსართულიანი შენობა, რომელშიც რაიკომის მდივნები და აღმასკომის თავმჯდომარეები ცხოვრობდნენ.

– იმდროინდელ სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებიდან რა გახსენდებათ უფრო მეტად?

– ეს ობიექტები ძირითადად ჩვენი სახლის მოპირდაპირედ, საგარეჯოს ცენტრში იყო განლაგებული, დღევანდელი დასასვენებელი ბაღის ტერიტორიაზე. პურის საცხობი, სტამბა, ფოსტა-ტელეგრაფი, მონკაეშირის მაღაზია, დოსააფის საზოგადოება, შემსაღარო, ერთმანეთის მიყოლებით სხვადასხვა პატარა-პატარა შენობებსა და „მთვარაძეების“ ყოფილი სახლების სართულებზე იყო განლაგებული.

ჩემს მესხიერებას დღესაც ნათლად შემორჩა სტამბაში ასაწყობ შრიფტებთან მოფუსფუსე, ცხვირზე „სათვალე-ჩამოკოსებელი“ პეტრე ნუგეშიძე, ლვინის წერტის გამყიდველი „ძია კოლა“ –

მობრუნებადი საბარჯელო

ჩემი ბავშვობის ქალაქი

დასასრული

თავისი დიდრინი თეთრი უღვაშებით, კუხიანი „მეხაშე არჩილა“ მთვარაძე, მის მიერ გაკეთებული ხაშის დაუვიწყარი გემოთი, მონაკვეთის მალაზიაში 16 მანეთად ნაყიდი 16 კალიბრიანი სანადირო თოფი, რომლითაც ჩიტებსა და შაშვებს დავევდით მოსაკლავად თვალთხევსა და ტიკიაურაზე ატეხილ ბაღებსა და მაყვლიანებსში.

– იმდროინდელი საჭიდაო არენა თუ გახსნოთ, როგორი იყო იგი. საგარეჯო ხომ ოდითგანვე განთქმული იყო მოჭიდავეებით და აქ ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში?

– როგორ არა!

ქართული ჭიდაობის ყურებით მიღებული მაშინდელ სიამოვნებასა და ამისათვის ხშირად ამორტყმული ჭიტლაფის სიმწარეს რა დამაივიწყებს?

ეს ნახერხიერი დია წრე, მოთავსებული იყო დღევანდელი სტადიონის ტერიტორიაზე, ცხონებული სოსო და გელა ლაფანიშვილების საცხოვრებელი სახლების გადასწვრივ. მოედანს სახურავი არ ჰქონდა, მარტო შემოფარგლული იყო ფიცრის მრგვალი „ზაბორით“ და მხოლოდ ქართული ჭიდაობები ტარდებოდა ხოლმე. პატარა ბიჭებს ფულის უქონლობის გამო ჭიდაობის საყურებლად არ გვიშვებდნენ, ამიტომ უწუმრად „ზაბორს“ ფიცარს ავაცლიდით, შევიპარებოდით მოედანზე და ფიცარს ისევ გავასწორებდით ხოლმე. ვაი ჩვენი ბრალი, თუ ამ დროს „დლიდვის ბიჭი“ – მილიციელი შალიკო შემოგვისწვრებდა – მისი ჩექმინი წიხლის „გემო“ ჭიდაობიდან ჭიდაობამდე გაგყვებოდათ. სხვა რაიმე სპორტული დარბაზი მაშინ არ ყოფილა და შემდეგ აშენდა.

– მაშინდელი მოჭიდავეებიდან ვის გაიხსენებდით? რაიონულმა გაზეთმა გასულ წლებში გამოაქვეყნა იმდროინდელი რაიონის ნაკრების სურათი, რომელიც თქვენს მიერ აღწერილი „ზაბორის“ ფონზე გადაღებული. მგონი მაშინ მათ საქართველოს პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავეს შალვა გზირიშვილის ხელმძღვანელობით?

– კი. საგარეჯოს ნაკრები მონაწილეობას იღებდა საქართველოს პირველობებში და ხშირად დაუკავებიათ საპრიზო ადგილები. კარგად მახსოვს ამ მოედანზე საჭიდაოდ გამოსული ნიკო მუხიაური, მურთაზ და თენგიზ ელერდაშვილები, მათი მოგვარე, უძლიერესი ქართულის მოჭიდავე შაქრო ელერდაშვილი, კისრულების ოსტატი ოთარ შაქარაშვილი, ბრუნებით განთქმული ანზორ ზურაბაული და ბევრი სხვა საგარეჯოელი თუ მეზობელი სო-

ფლების მოჭიდავეების გამოსვლები, რაც იმდროინდელი პატარების ერთერთ უმთავრეს სანახაობას წარმოადგენდა.

– ხნოვანი ადამიანების გადმოცემით, პირველი ელექტროენერგია საგარეჯოში დიზელგენერატორის მეშვეობით მიუღიათ. თქვენ თუ მოესწართ იმ ამბავს?

– როგორ არა! იგი ჩვენი სახლის უკან, დღევანდელი ბაზრის ტერიტორიაზე იდგა. მისი ძრავის გასაგრილებლად ეზოში შეყვანილი იყო წყალი, რომელიც გენერატორიდან გამოსვლის შემდეგ შავ ნაკადად მოედინებოდა ჩვენი ეზოსა და ბოსტნებზე და მუდამ უარყოფით შეგრძნებას იწვევდა ჩვენში. დენი ქალაქს მხოლოდ საღამოს შემდეგ მიეწოდებოდა, უმეტესობა კი ნავთის ლამპებს ხმარობდა. ნავთიც ხენშებულ ტაჭკებით დაჰქონდათ და ყიდდნენ მოსახლეობაში. მახსოვს მისი მეეტლე „ყაჭალა“. გახსნილი იყო ნავთის წერტილი. ერთ-ერთი მათგანი დღევანდელი „ლიბერთი ბანკის“ სიახლოვეს, ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის ადგილას იყო.

– ამბობენ, რომ იმ დროს ადიდებული თვალთხევი საგრძნობ ზიანს აყენებდა მოსახლეობის საკარმიდამო ადგილებს და ხშირად ცენტრამდეც უწევდა ნიაღვრები. თქვენ პირადად თუ გინახათ ასეთი რამ?

– კი. ჩემს ბავშვობაში არც თვალთხევს და არც ტიკიაურას დამცავი ჯებირები არ ჰქონდა. ამის გამო ღვარცოფის პერიოდში ხშირად იცვლიდნენ კალაპოტს და მოსახლეობასაც აზარალებდნენ. მაშინ თვალთხევზე არც დღევანდელი ხიდი იყო და თბილისიდან მომავალი მანქანები პირდაპირ მდინარეზე გადმოდიოდნენ. ამის გამო წყალდიდობის დროს ისინი ხშირად ფელოდობდნენ ხევის ქვიშიან კალაპოტში. ეს კი იმ დროს იქ მყოფი ბიჭების სახიერო საქმე იყო. ისინი ვითომ ეხმარებოდნენ პატრონს მანქანის ამოყვანაში, შეუმჩნევლად უფრო ღრმა ადგილისკენ უბიძგებდნენ, რომ მერე მეტი „ეწვალათ“ ამოყვანაზე. მეტი წვალება, მეტი ღირდა, რომლის ფულითაც სასადილოში მივდიოდით საჩქიფოდ.

– მანქანებზე მეტად საგარეჯოელები მაშინ მგონი უფრო რკინიგზით სარგებლობდნენ, რადგან მატარებელი უფრო იაფი უჯდებოდათ და არც მაინცდამაინც მანქანები დადიოდნენ ხშირად. ამის გამო ისინი რკინიგზის სადგურში არჩევდნენ ჩასვლას, მიუხედავად მისი საკმაო სიშორისა.

ეს უფრო მანქანების უკმარისობის გამო იყო, თუმცა რკინიგზა იაფიც იყო.

საგარეჯოელები რკინიგზით ახდენდნენ დედაქალაქთან დაკავშირებას და თვიანთი პროდუქციის გატანას. მაშინ რკინიგზის სადგურში არც მანქანები დადიოდნენ. დადიოდა მარტო ორცხენა „ლილეინკა“, რომელიც სადგურში ჩაყვანაში მგზავრს 5 მანეთს ახდევინებდა. ამ „ლილეინკას“ უკან ჰქონდა საბარჯული, რომელზედაც ავიხუნძლებოდით ხოლმე პატარა ბიჭები და „საკატაოდ“ სადგურამდე მივყვებოდით. მეეტლე ძაბილაშვილს თავი ჰქონდა მობურბული ამგვარი „უბილეთო“ მგზავრებისგან და ხშირად გვიმასპინძლებოდა მათრახის გადაკვრით.

– თუ არ ვცდები, იმ დროს რკინიგზის სადგურზე პატარა ბაზრის მაგვარიც იყო მოწყობილი, სადაც საგარეჯოში კახეთიდან მომავალ მგზავრებს პურს, ყველს და სხვადასხვა საჭმელებს სთავაზობდნენ...

– ეს ბაზარი ყოფილი რაიკავშირის საწყობების ადგილზე იყო. ხშირად მოსაცდელ პერონზეც იმართებოდა.

თავისი ციფცივი წყაროს წყლების გარდა საგარეჯოს რკინიგზის სადგური განთქმული იყო ამ ბაზრითაც, სადაც იყიდებოდა სხვადასხვა საჭმელები და ახალი ბოსტნეული. ეს საგარეჯოელებისათვის და მეზობელი სოფლების მოსახლეობისათვის გარკვეული შემოსავლის წყარო იყო. განსაკუთრებით კი მაშინ გაითქვა სახელი ამ ბაზრობამ, როცა აქ ქათმების ნაცვლად მოხარშული ყვავების გაყიდვის ამბავი „გასკდა“. ამის შემდგომ ამ ბაზრისა და საგარეჯოელების შემოსავალს კახელებში „მასანდა წაუხდა“.

– იმდროინდელი საგარეჯოს კოლმეურნეული პიროვნებებიდან ვის გაიხსენებდით?

– „ბია კოლას“, „ბრუციან მიხოს“, პეტრე ნუგეშიძეს, „კუხიან არჩილას“-თან ერთად... არასოდეს დამაივიწყებია ქალაქის ერთადერთი მჭედლის ლექსოს სახე, დაკუნთულ მარჯვენაში ჩაბღუჯული უროკვერით, კასრების განთქმული ოსტატი ბონდერი ვასო კაკოუაშვილი, 80-იან წლებამდე მოღწეული განთქმული თამადა ლუარსაბ განდარელი, იმდროინდელი სახელმწიფო სპორტსმენები, მსახიობები, მასწავლებლები, რომლებიც მუდამ მისაბაძი მაგალითი იყვნენ პატარებისათვის. ერთი სიტყვით, მოსაგონარი და გასახსენებელი ბევრი რამ მაქვს. მიხარია, რომ იმ ძველი, ჩამორჩენილი სოფლის ნაცვლად, ასე გალამაზდა და შეიცვალა თავისი იერ-სახე დღევანდელმა საგარეჯომ, რომლის ქალაქად გამოცხადების 50 წლისთავი ამ წლის ბოლოს სრულდება.

წინსვლა და გამარჯვება ნუ მოაკლოს ღმერთმა საგარეჯოს და საგარეჯოელებს მომავალშიც. როგორც შევიტყვე ამ წელშიც ბევრი რამ გაკეთდება ჩვენი ხელმძღვანელობის მიერ საგარეჯოს საკეთილდღეოდ და მინდა, რომ ჩვენმა ქალაქმა სულ ასე წარმატებების გზით იაროს.

შსაშპრა გიშვი ლაბახიშვილი

ალ. ელერაშვილი

საბარეჯოს ისტორიული ძეგლები

პეტრე-პავლეს ეკლესია

პეტრე-პავლეს ეკლესია დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის ინიციატივითა და კახეთის მეფე დავით იმამ ყული ხანის ხელშეწყობით 1710-1712 წლებში თვალ-საგარეჯოში, მდინარე თვალთხევის მარჯვენა სანაპიროზე, შემადგენლებულ გორაკზე აშენებულ იქნა ეკლესია იესო ქრისტეს ორი მთავარი მოციქულის პეტრესა და პავლეს სახელზე.

ონოფრე მაჭუტაძე თავის ერთ-ერთ გუჯარში, რომელიც დათარიღებულია 1712 წლით, ჩამოთვლის რა თავის ნამოღვაწარს, ადასტურებს სოფელ თვალზე ეკლესიის აშენებასაც: „რადგან თვალზედ ორი ზვარი და ორი მარანი დიდის გარჯით დამიგდია... და ნადარბაზვეზე საყდარი ამიშენებია წმინდის პეტრესა და პავლეს სახელზე, ხატითა, წიგნითა და სამოსლებით გამიმარებია...“.

ეკლესიის მშენებლობისათვის ონოფრეს მოუწვევია ქვის მთელელები და მენუქურთმეები. ხალხში არსებული ლეგენდის მიხედვით ეკლესიის ხუროთმოძღვრებაში ყოფილან მამა-შვილი ბერძენი ქვისმთელელები. ქვა ჯავახეთიდან უზიდაიო. მამა კელდის წყობაზე მუშაობდა, შვილი კი ჯავახეთში ქვებსა თლიდა და მშენებლებს უგზავნიდა. მამა ცნობდა თავისი შვილის ნახელავს. ერთ გზობაზე სულ სხვა ხელით გათლილ-მონუქურთმებული ქვები მოუტანიათ მეურმეებს და ცუდი ამბავიც მოუტანიათ, შვილი რაღაც შემთხვევას უმსხვერპლია და მის ნაცვლად სხვა ქვისმთელე მიუყვანიათ. მამას ჯერ უმაღლესდნენ შვილის დაღუპვის ამბავს, მაგრამ ბოლოს მაინც შეუტყვია თავს-დატეხილი უბედურება, გადმოხსტარა ხარაჩოდან და თავი მოუკლავს.

როგორც წყარო მიუთითებს, პეტრე-პავლეს ეკლესია უკაცრიელ ადგილას კი არ აუშენებიათ, არამედ დავით გარეჯის კუთვნილ მიწა-წყალზე, ხალხით მჭიდროდ დასახლებულ და ბად-გუნახებთ დამშენებულ სოფელ თვალზე (საგარეჯოში) ჩამომაჯალ წყალუხვ მდინარე „თვალთხევის“ სანაპიროზე.

პეტრე-პავლეს ეკლესია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოქმედ ეკლესიას წარმოადგენდა, ხოლო XX საუკუნის 30-იანი წლებიდან გააუქმეს.

1922 წელს ეკლესია მონახულა აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა და ეკლესიის აღწერილობა მოათავსა თავის ცნობილ გამოკვლევაში „დავით გარეჯის გამოკვებულთა მონასტრები“ (რუსულ ენაზე, თბილისი, 1948წ. გვ. 97-98).


პეტრე-პავლეს ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ერთნავიან ტაძარს. იგი თავისი არქიტექტურით სრულ წარმოდგენას გვიქმნის XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII

საუკუნის დასაწყისში არსებულ არქიტექტურაზე. ეკლესიის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ძირითადად რიყის ქვა ბათქაშით, მაგრამ დაბლა კარნიზი ნათალი ქვითაა მოპირკეთებული, საძირკვლიდან 1,2 მეტრის დაშორებით. ასევე ფასადის კარნიზები, კედლის კუთხეები. კარებისა და სარკმლების ჩარჩოები ნათალი ქვითაა ამოყვანილი. შიგნით პილასტრებიც (ორ რიგად) თლილი ქვითაა ამოყვანილი, თაღები აგურითა და კირის ხსნარითაა ამოყვანილი. ეკლესიის გარეთა ფართი უდრის დაახლოებით 200 მ², შიგნითა - 180 მ²-ს. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს - დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ორ-ორი სარკმელი აქვს დატანებული ჩრდილო და სამხრეთ კედლებზე, პილასტრებს შორის, თითო სარკმელი აქვს დატანებული აღმოსავლეთით და დასავლეთით. გარდა სარკმლებისა, საკურთხეველთან გამოჭრილია 5 ნიში, ერთი ცენტრში, ორ-ორიც გვერდით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ორ-ორი ნიში დატანებული აქვს ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში, ორი ნიშიც დასავლეთის კედელში, კარების ორივე მხარეს. ნიშებიც და სარკმლებიც თლილი ქვითაა ამოყვანილი, გუმბათოვანი და ისრისებრი გადახურვებით.

ეკლესიის გარეთა ფასადი მეტად საინტერესოა არქიტექტურული თვალსაზრისით და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე არსებულ ქართულ ხუროთმოძღვრულ ხელოვნებაზე.

შენობის წინა, (დასავლეთის) ფასადი სარკმლამდე ნათალი ქვითაა მოპირკეთებული, ხოლო კარების ჩარჩო, კარების თავზე ამოჭრილი სარკმელი და სარკმლის თავზე ამოჭრილი ჯვარი შესანიშნავი წნული ჩუქურთმითაა დამშენებული. დანარჩენი კედლები რიყის ქვითაა აშენებული. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე არსებული ისრისებური, თაღოვანი სარკმლები ყველა მონუქურთმებულია იშვიათი ხელოვნებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისი არქიტექტურით შენობის აღმოსავლეთი ფასადი, სარკმლის მაღლა მონუქურთმებული ჯვარი და იქ გამოქანდაკებული სიმბოლოები.

აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილამდე აღნიშნული ტაძარი 1884 წელს მოუნახულებია და დეტალურად აღუწერია საგარეჯოს დაწვებითი სკოლის გამგე-მასწავლებელს, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ცხვედაძეს. მას თავისი შთაბეჭდილებები მოუთავსებია ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის №164-ში. მაშინ ძველი ჯერ კიდევ კარგ მდგო-



მარეობაში ყოფილა და კარგად მოჩანდა, როგორც ჩუქურთმები, ისე იქ გამოხატული სიმბოლოები. მაშინდელი აღწერით ჩუქურთმებში გამოჭრილი იყო მცენარეული ორნამენტები, ვახის ფოთლები, ყურძნის მტევნები, კისერზე ჯაჭვგადადებული ღომები, ურჩხული, მზე, მთვარე და მტრედი, რომელსაც ნისკარტში თევაი უჭირავს.

დასავლეთის კარების თავზე იმ დროს გამოქანდაკებული ყოფილა ქტიტორის პორტრეტიც, რომელიც შემდეგ განადგურებულია.

შემდეგ წლებში მიწისძვრის თუნიადავის ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად შენობა შუაზე გაბზარულა და ეს ბზარი გასული საუკუნის 70-იან წლებამდე იმდენად გაფართოვდა, რომ საშიშროება შეიქმნა ძეგლის სრული დანგრევისა. სახურავიდანაც წყალი ჩამოდიოდა.

ძეგლის დაღუპვისაგან გადასარჩენად განგაში ატეხა ძეგლთა დაცვის რაიონულმა ორგანიზაციამ და რესპუბლიკურ სამმართველოში დააყენა მისი გარემონტების საკითხი. შედგა ხარჯთაღრიცხვა და რაიონში შერევილი სახსრებით 1976 წელს პეტრე-პავლეს ეკლესიას ჩაუბრდა სარესტავრაციო სამუშაოები.

ეკლესია გადაიხურა თუნუქით, აღდგენილ იქნა გაბზარული კედლები და ჩუქურთმები, შენობის ეზო კეთილმოეწყო და შემოიღობა. გაიწმინდა და გასუფთავდა მიწა ეკლესია და მისი ეზო-ყურე. ძეგლს მკველი გამოუყვეს.

პეტრე-პავლეს ეკლესია, როგორც XVIII საუკუნის არქიტექტურული ძეგლი საგარეჯოს მშენებლობა და მას ბევრი დამოვალეობები ჰყავს, თუმცა აქ წირვა-ლოცვა ათეული წლებია აღარ აღვლენილა.

ღვთისმშობლის ვიჰინაჲის სახელობის ეკლესია

ვინც ქალაქ საგარეჯოს ზემოუბანში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში დასწრებია წირვა-ლოცვას, უთუოდ შეამჩნევდა იქვე ეზოში მდებარე პატარა ეკლესიას და მის ირგვლივ განლაგებულ საფლავის ქვებს. სწორედ ეს ეკლესია წარმოადგენს ქ. საგარეჯოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ ძეგლს, რომელიც განეკუთვნება VII-VIII საუკუნეებს. ეს ეკლესია მოწმეა იმ ტრაგიკული მოვლენებისა, რაც საგარეჯომ (თვალმა) განიცადა წინა საუკუნეებში. ეს ეკლესიაც საძირკვლამდე დაანგრევს XVII საუკუნეში შაჰ-აბასის ურდოებმა. იგი აღადგინეს XVIII საუკუნის დასაწყისში აზნაურმა ჯაბადრებმა, ამიტომ ამ ეკლესიას ჯაბადრების საგვარეულო ეკლესიის უწოდებდნენ.

ეკლესია ბაზილიკური ტიპის და პატარა ზომისაა (16 მ²), კარები სამხრეთიდან აქვს დატანებული. ეკლესიას ორი სარკმელი აქვს დატანებული, ერთი აღმოსავლეთიდან, აფსიდის მადლა, მეორე – დასავლეთიდან. ეკლესია აშენებულია რიყის ქვით, აგურის გამოყენებით.

ამ პატარა ეკლესიის გვერდით აშენებულია შედარებით ფართო მოცულობის ეკლესია, რომელიც საგარეჯოდ XIX საუკუნის შუა წლებში აშენდა.

მას შემდეგ, რაც ჯაბადრების პატარა ეკლესია ვეღარ აკმაყოფილებდა საგარეჯოს ზემოუბანის მრევლს, საგარეჯოს მაშინდელ დიამბეგს სპირიდონ ჯაბადარს გადაუწყვეტია ახალი ეკლესიის აშენება. მას თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მიუძღროს საქართველოს ეგზარქოსისათვის, რომლის დახმარებითაც შეუდგენიათ მშენებლობის პროექტი და საქმესაც მალე შედგომიან. მშენებლობა ორ წელს გაგრძელდა და ეკლესია 1843 წელს უკურთხებიათ.

ეკლესია რუსული ტიპისაა და მისი შიდა ფართი 80 მ² უდრის. ეკლესია აშენებულია რიყის ქვითა და აგურით. მას შესასვლელი კარები დასავლეთითა აქვს დატანებული. ეკლესიას სამ-სამი სარკმელი დატანებული აქვს ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე. ერთი სარკმელი აღმოსავლეთიდანაცა აქვს დატანებული, აფსიდის ზემოთ.

ეკლესიის ირგვლივ ამჟამად გაუქმე-

ბული სასაფლაოა. პატარა ეკლესიაში ორი მიცვალებულია დაკრძალული. ესენი არიან ახალი ეკლესიის აღმშენებელი, გარე კახეთის დიამბეგი სპირიდონ იოანეს ძე ჯაბადარი (1810-1903წწ) და მისი მეუღლე მინადორა სოლომონის ასული ჯაბადარი (1819-1897წწ). როგორც საფლავის ეპიტაფიები გვაუწყებენ, ცოლ-ქმარს საკმაოდ დიდხანს უცხოვრიათ.

ზემოუბანის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია 1930 წლამდე წარმოადგენდა საგარეჯოს მრევლის საკულტო ტაძარს, ხოლო XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ დახურა ტაძარი. ერთხანს ამ ტაძარში მოათავსეს მძლეოსან სპორტსმენთა „სპარტაკის“ ფილიალი, ხოლო სრული კოლექტივიზაციის შემდეგ ეკლესიაში მოაწვეს კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საწყობი.

1975 წლიდან საქართველოს საპატრიარქომ ეკლესია დაიბრუნა და იქ აღდგა წირვა-ლოცვა, მაგრამ 1980 წელს საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობამ ეკლესია დაიბრუნა და აქ ახალგაზრდული კლუბი მოაწყო. 1988 წელს ეკლესია ისევ დაიბრუნა საპატრიარ-



ქომ და იქ კვლავ აღდგა წირვა-ლოცვა.

ღვთისმშობლის ეკლესია კაპიტალურად გაარემონტა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ, შემოავლო ქვითკირის დეკორატიული კედელი, მოაწყო სამრეკლო, გაწმინდა და კეთილმოაწყო ეკლესიის სასაფლაო. სარემონტო სამუშაოებს გასული საუკუნის 80-იან წლებში ხელმძღვანელობდა არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი).

წმინდა დოდოს სახელობის ეკლესია

ქ. საგარეჯოს ცენტრში, ე.წ. დოდოს უბანში, რუსთაველის ქუჩაზე დგას ერთ-ერთი თვალსაჩინო ეკლესია, რომელიც წმინდა დოდოს სახელს ატარებს. ეს ეკლესია აშენებულია XII

საუკუნეში წმინდა დოდო გარეჯელის ინიციატივითა და მატერიალური სახსრებით. დავით გარეჯის დოდოს რქის მონასტერი სოფელ თვალზე დიდძალი მამულსა და ყმებს ფლობდა, საიდანაც მისთვის შექმნილი იყო ილქობა. ეს მამულები თავისი ყმებით განლაგებული იყო ესლანდელი საგარეჯოს ცენტრში, დაწყებული ახლანდელი რუსთაველის ქუჩის ორივე სანაპიროთი და დამთავრებული მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროს ჩათვლით... ამიტომ საგარეჯოა, რომ ამ მამულების დამუშავებელი ყმა-ფეოდალებისათვის გარეჯის მონასტრის აყვავება-აღორძინების პერიოდში (XII-XIII სს), თავის მამულში ეკლესიას ააშენებდნენ. ეს ჩვენი ვარაუდია თორემ, ჩვენს ბედკრულ ისტორიას XVI საუკუნემდე არავითარი ცნობები არ შემოუნახავს დოდოს მამულების შესახებ.

წმინდა დოდოს სახელზე აშენებულმა ეკლესიამ მრავალჯერ განიცადა ნგრევა მტერთა ურიცხვი შემოსევების დროს. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გახდა შესაძლებელი ძველი ეკლესიის ადგილზე ახალი აშენებინათ. ასეც მოხდა და ტაძრის ახლანდელი ნაგებობა თავისი სამშენებლო სტილის მიხედვით XIX საუკუნის 30-40-იან წლებში უნდა აშენებულიყო. ეკლესია ერთნაირ ბაზილიკას წარმოადგენს და გარეგნული ფორმის მიხედვით წააგავს ზემოუბანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, თუმცა ფართით ოდნავ ჩამორჩება.

წმინდა დოდოს ეკლესია აშენებულია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს დატანებული. კარების კედლები თლილი ქვითაა ამოყვანილი. ეკლესია თავისი სადა კედლებით არ წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს. ეკლესიის ეზოში განლაგებულია საფლავის ქვები მხედრული წარწერებით.

ეკლესია წლების განმავლობაში წარმოადგენდა მოქმედ ეკლესიას. მართალია საბჭოთა ხელისუფლებამ სცადა მისი გაუქმება გასული საუკუნის 30-იან წლებში, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სასტიკი წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა იგი ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობისათვის მოქმედ ეკლესიად დაეტოვებინა.

დოდოს ეკლესიას მხოლოდ 70-იან წლებში მოეშენნ და საპატრიარქოს ნება მისცეს ჩაეტარებინა კაპიტალური რემონტი.

ეკლესიას 1979 წელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარა არქიმანდრიტმა იოაკიმემ. ეზო შემოიღობა დეკორატიული კედლით, დაირგო დეკორატიული მცენარეები, აშენდა მოძღვრის საცხოვრებელი სახლი და სხვა.

